ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 3 7

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი 15 მარტი 2023 წელი

სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“, (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის ირაკლი კიკვაძის სახით და მეორე **შპს „კალა პრინტ“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი კალანდიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სპექტაკლითვის „ოთხი პატარა ამბავი“ სარეკლამო მასალის დამზადება (ბანერი, აფიშა, პროგრამა) (შემდგომში - საქონელი) მოწოდება წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად. (CPV- 22400000 - სარეკლამო მასალა).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 576,40 (ხუთასსამოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარს;
2.2. საქონლის დასახელება და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება დანართი N1-ით;
2.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მოწოდება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2023 წლის 17 მარტის ჩათვლით;
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი № 49;
3.3. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები;
3.4. საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მოწოდებული საქონლის ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და/ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე;
3.5 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები;
3.6. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სასაქონლო ზედნადების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოწერასა და გამოყენებაზე;

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათ-ვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში;
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი;
4.3. მიმწოდებელს პრეტენზია არ ექნება აუთვისებელ თანხაზე;
4.4. დაფინანსების წყარო: საკუთარი სახსრები

5. გარანტია

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“–ს PR მენეჯერი მარეხ ტუღუში.
6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ;
6.4. საქონლის მიღებისა და ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნივთის ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
6.5. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით;

6.6. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
6.7. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის დეფექტის გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხისაგან;

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით;
7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტრო-ლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა, დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;
8.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ;
8.4. 7.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
8.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
10.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან;
12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
12.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

12.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება;
12.5. მხარეები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად დამდაგარი ზიანი;
12.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე;
12.7. ხელშეკრულება ხელმოწერილია, შტამპდასმულია ელექტრონული ფორმით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „„ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“

საქართველო, ქალაქი ბათუმი
მ. აბაშიძის გამზ. ქ. N49
ს/კ 245 429 415

მიმწოდებელი:

შპს „კალა პრინტ“

საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლუკა ასათიანის ქ. N37
ს/კ 445 548 872
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
მფო: BAGAGE22
ა/ა GE97BG0000000131355203

სამხატვრო ხელმძღვანელი
ირაკლი კიკვაძე

დირექტორი
გიორგი კალანდია

ხარჯთაღრიცხვა

დანართი N1

N	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	ა4 ფორმატის პროგრამა	ცალი	70	1,50	105
2	აფიშა 2.ც	კვ.მ	3,25	30	97,50
3	ბანერის ბეჭდვა 2.ც	კვ.მ	6,2	20	124
4	ა3 ფორმატის აფიშა	ცალი	30	3,33	99,90
5	როლაპი	ცალი	1	150	150
ჯამი					**576,40**